

ლოქსი

გაზეთი გაშრობის
1988 წელიდან

რაიონის საზოგადოებრივ-კულტიურული გაზეთი

№ 88 (6465)

23 ივლისი

სამშაბათი 1991 წელი

ფასი 5 კაპიკი

პრეფექტის

ანგარიშზე

სასიამოვნოა, რომ აგრომრეწვანეში გახსნილ პრეფექტის ანგარიშზე, რომლის ნომერია 70045, ჩარიცხული თანხა თანდათან იზრდება. ყველასათვის ცნობილია, რომ აღნიშნულ ანგარიშზე ჩარიცხული თანხა გამოიყენება იმ ოჯახების დასახმარებლად, ვინც სტიქიამ დაზარალა.

რაიონში გამოჩნდნენ წარმოება-დაწესებულებები, საშენებლო ორგანიზაციები, რომლებმაც უკვე გამოახეს სახსრები და აღნიშნულ ანგარიშზე გადარიცხეს.

ამას წინათ საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციამ (თავმჯდომარე ს. თვარაძე) პრეფექტის ანგარიშზე 3 ათასი მანეთი გადარიცხა.

ამჟამად პრეფექტის ანგარიშზე სულ 14,750 მანეთია.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ქუთაისსა და გათუხუმი

ის, ვინც ბოლო ორი კვირაა რაჭისკენ არ ყოფილა, უთუოდ სიხარულით შენიშნავს, რომ ეს კუთხე თანდათან იშუშებს კრილობებს. მეორე ტოლა, ხვანჭკარა, წორჭო, ჭრებალო, ყოშხა... აღარ მიგაცილებთ ზემოთენ მიმავალს კედელწამოგრებული და სახურავწაფარნილი სახლები. აღდგენითი სამუშაოების ტემპი ურიგო როდია თვით რაიონულ ცენტრებში—ონსა და ამბროლაურში, ამიტომაც გირდება იმედი, რომ დაზარალებულმა ბევრი ოჯახი მოასწრებს საკუთარი ჭერის გამართვას. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ამ ფონზე განსაკუთრებით ცუდად იკვეთება ზოგერთი სოფლისა და დასახლების ბედი, სადაც მშენებლობა ან ძალზე ყოვრდება, ან სხვადასხვა მიზეზებით ჭერაც არ დაწყებულა... უმთავრესად ამ ორ რაიონში შემდინარე სამუშაოებში არსებული ნაკლებობების მიზეზებსა

და მათი აღმოფხვრის გზებზე იყო მსჯელობა ქუთაისში გამართულ თათბირზე, რომლის მუშაობასაც წარმართავდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. თათბირზე მოსმინეს აღდგენითი სამუშაოების შტაბის ხელმძღვანელის თამაზ ვაშაძის, ქუთაისის, ონის, ამბროლაურის, ზესტაფონის, ტყიბულისა და სხვა რაიონების პრეფექტების, სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციები. დადებით მომენტებთან ერთად დიდი ყურადღება დაუთმეს სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით გამოწვეულ მთელ რიგ დარღვევებს. რაც მოსახლეობის ერთი ნაწილის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ამის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის სახელზე ადგილებიდან გამოგზავნილი მრავალრიცხოვანი განცხადებებიც მიუთითებენ.

იმ ორგანიზაციებმა, ხელმძღვანელებმა, რომელთა უნიათობის გამო ხალხი უკმაყოფილებას გამოთქვამს, შექმნილი მდგომარეობიდან დასკვნა დროულად უნდა გამოიტანონ, რომ უყურადღებოდ არ დარჩეს არც ერთი ოჯახი, არც ერთი დაზარალებული. უწინარესად—ითქვა თათბირზე, —საჭიროა რაც შეიძლება მალე აღმოიფხვრას საშენი მასალების ტრანსპორტირებასა და განაწილებაში არსებული ნაკლებობები, გზა უნდა გადაეკეტოს ყოველგვარი დატაცებისა თუ ხელმძღვანელების ფაქტებს. ამ საკითხში სხვა ალტერნატივა არ არსებობს. იმსჯელა რა ვითარების გაუმჯობესების გზებზე, თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება—აღდგენითი სამუშაოების სრული კონტროლის მიზნით შეიქმნას პრეფექტების ერთიანი საბჭო. იმავე დღეს ახლად შექმნილმა საბჭომ თავმჯდომარედ აირჩია ქუთაისის პრეფექტი არჩილ კოსტავა.

18 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის აჭარაში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მასთან ერთად ჩამოვიდნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭორიძე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი, შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი და სხვა ოფიციალური პირნი. იმავე დღეს ბატონი ზვიად გამსახურდია და მისი მეუღლე ქალბატონი მანანა არჩვაძე ქობულეთის დასასვენებელ სახლში „ივერიაში“ შეხვდნენ საქართველოს სამეფო დინასტიის წარმადგენელს ქალბატონ ქეთევან ბაგრატიონს, მის მეუღლესა და შვილებს, რომლებიც იტალიიდან ჩამოვიდნენ. გულთბილი საუბრის დროს შეეხნენ საქართველოს და იტალიის ურთიერთობას. აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს იტალიის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს. ამასთან ინფორმაცია სულ უფრო ობიექტური და კეთილმოსურსე ხდება. შეხვედრის დროს შეეხნენ იტალიაში, ვატიკანში ბატონ ზვიად გამსახურდიას მომავალ ოფიციალურ ვიზიტსაც, რაც უთუოდ, განამტკიცებს ორი ქვეყნის ურთიერთობას. შეხვედრას დაესწრო აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ასლან აბაშიძე.

მზაპა კილაძე,
თამაზ განძიხაძე,
საქინფორმის კორ.

მიჯნა—20 ტონა აბრეშუმის პარკი

ერთსულოვნებამ გაიმარჯვა

ცნობილია, რომ ყოველი საქმის წარმატება ადამიანთა საქმიან თვისებებზეა დამოკიდებული. წიფერის კოლმეურნეობაში 104-მა მეაბრეშუმემ იკისრა 860 გრამი მურის გამოკვება და წლის პირველი მოსავლის

პილგისათვის ერთსულოვნებაც გამოიჩინეს (მეაბრეშუმე აგრონომი დ. გოგიძე). მათ დაძლიეს ყველა დაბრკოლება და სამშობლოს 1687 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიჰყიდეს, რაც დავალებას აღემატება.

პარტული აბრეშუმის სახელსა და დიდებაზე აღარ ვლაპარაკობთ, ზედმეტადაც დავშრიტ. საქმე ის არის, რა კეთდება დარგის აღმავლობისათვის, პრაქტიკულად როგორ ვასრულებთ თუნდაც წლივანდელ დავალებას, ამ ძვირფასი პარტული სამრეწველო ნედლეულის რა წილი მოდის რაიონის მეაბრეშუმე ქალებზე, რა საფუძველს ვუშვამდებთ საქართველოს ზეგლინდელ ეკონომიკას, წინსვლას.

შედიხარ ნებისმიერ სოფელში და ხედავ ზოგან თუთა ხელუხლებელს, ფოთოლდახუნძლულს, აბრეშუმის პარკის დამზადების სეზონი კი თითქმის გასრულდა და იმედი გეგმის შესრულებისა საექვოა. ცხადია, საკრებულოებმა დააკლეს ხელი საქმის ორგანიზებას და კონტროლს, დაავადებამაც შეამცირა მოსავალი, რომელიც პარკის მოხვევის გადაწყვეტ

ფაზაში ბევრგან გაუჩნდა ქიას, ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია—გულისყური ნამდვილად დააკლდა ამ სახელმწიფოებრივ საქმეს. და მით უფრო მარჯვენაშესაქება ამ სიტუაციაში სინდის-ნამუ.

40 კილოგრამი ცოტაა?

სის კარნახით მომუშავე მეაბრეშუმე ქალები, რომელთაც ღამეები გატეხეს, ხელეობზე კოფრები გაიჩინეს, მაგრამ საქმეს არ უღალატეს.

გულიანა გოლეთიანიც ერთ-ერთი ასეთთაგანია, ტვიშელი დიასახლისი, ქალი—თავსაყრელი საზრუნავ-სადარდებლით.

ცდილობს საყვარელ საქმეს არასოდეს გამოეთიშოს. ძნელი როგორ არ არის, მაგრამ ყველამ

რომ ასე იფიქროს, ვინდა მოიწიოსო, თავად ამბობს. სახელი, მანქანა თუ სხვა ათასნაირი პრივილეგია რა დასაძრახია, მაგრამ თავად ამაზე არახოდეს უფიქრია. ასობით კილოგრამი პარკი არ მოდის მის ანგარიშზე, მაგრამ რასაც აკეთებს საკუთარი ალალი შრომით, ისიც საკებარია. 40 კილოგრამი პარკი მიიტანა ამ დღეებში ალჰანის მიმდებ პუნქტში. ცოტაა—პირიქით. ამაში დაგვემოწმება ყველა, ვისაც თუნდაც 2 გრამი ჰქონდა გამოუყვებია. რაიონში რომ საშუალოდ თითოეულ ოჯახს თუნდაც 10-15 კილოგრამი პარკი მოეწია, გეგმას ორმაგად და მეტად შევასრულებდით. ამიტომ დავულოცავთ გულსა და მარჯვენას. მისი შრომის საზღაურად არც პატივი დავუბოძდეს და არც ბარაქა.

მ. გურული.

საქართველოს შავილთა

ყოველი პატიოსანი ოჯახი ერის სიმდიერისა და ღონიერების ბურჯად უდგას, მითუმეტეს, თუ ის მრავალრიცხოვანი და მრავალშტრიანი, ყველა მისი წევრი კი გამრჩე და შრომისმოყვარე. ასეთი ოჯახი აქვს ქვედა ალვში

გამრავლდი,

ფუძემ ქართულ!

მცხოვრებ ვერა ბობოხიძე-მეშველიანს. მეუღლე პარიმონ მეშველიანი ერთი ალალი მშრომელი კაცი ყოფილა. იცოდა ბედნიერების გასაღები მხოლოდ საკუთარი ხელებით უნდა მოეპოვებინა და ამიტომაც მუყაითად ეჭიდებოდა მიწას—ქვეყნის მარჩენალს. ფაწისტებთან ბრძოლის სიმწარეც იგემა. მოვიდა დრო და ოჯახიც შექმნა, ვერა ბობოხიძე დაიწყებდა და მეშველიანთა საგვარეულოს კიდევ ერთი ფუძე შემატა. ახალგაზრდა ცოლ ქმარს ჯერ ლენა შეეძინათ, შემდეგ ნინო, ზურაბი, ზინა, ლენა, ზოლოს კი ოჯახის ჭერი ტყუპისცალების—ჯემალისა და ნათელას დაბადების სიხარულმა ასწია. ბევრი

გაჭირვება ნახა მათ გაზრდაში ქალბატონმა ვერამ, შინ ბავშვებს უვლიდა, თან კი მაშინდელი ალვის კოლმეურნეობის მელორეობის ფერმაში მუშაობდა, აბრეშუმის ჭრის მოვლის გარეშე ერთი წელიც არ უცხოვრია. პარიმონი კი ხელოსანი კაცი იყო და მიწას რომ მიხედავ-

და, ხელობაზე მუშაობდა, შვილებს არ მომიშვიდესო, თვალს აუტ საქმეზე არ დარჩეთო. შვიდივეს თავისი ოჯახი აქვს, ყველა გამრჩე და პატიოსანია, ოჯახს 17 შვილიშვილი ჰყავს, დარდს ეს უმსუბუქებს ცალუღელ-დადარჩენილ ქალს.

ოჯახის დედაბოძი ახლა 77 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ ყოჩაღად გრძნობს თავს აქეთ საქარმიდამო, იქით ბოსტანი, იქარით 1500 კვადრატული მეტრი სასიმინდეც აქვს ალგებული, საქმეში შვილიშვილებიც ეშველებიან. იარონ, იარონ და ამრავლონ ერი ჩვენი, რამეთუ სიმრავლე და სიმამაცე ახლა გვჭირდება.

ბ. ბაქრაძე.

ცაბარის საშენი მასალების საპროდუქციო-მომწოდებელი საწარმოს მინერალური წყლების ლაშქარის და ძულურის საწარმოს მინერალური წყლების ლაშქარის საწარმო-ბა და საბოლოოდ მწყობაში ჩაღება 1990 წელს, ამ მინერალური წყლების წარმოება დაიწყო და მომხმარებელი საკმაოდ გაუჩნდა.

მინერალური წყლები როგორც ლაშქარის ასევე ძულურის შემკრებ ცისტერნებში გროვდება შემდეგ ხდება მისი ტრანსპორტირება ცაბარის და 24 საათიანი დაყოვნების შემდეგ საცალოდ ავტომობილებზე ხაზის მეშვეობით ხდება მისი ჩამოსხმა. საწარმო-მომწოდებელი საწარმოში 15 მუშა დაქვებული და საქმეს თავისუფლად ასრულებს.

მართალია, არც ისე დიდი ხანია, რაც აქ მინერალური წყლების ჩამოსხმა დაიწყო, მაგრამ მათ უკვე საკუთარი მიზნები პერსპექტივები და პრობლემები აქვთ.

რამდენიმე შეკითხვით მივართუე საწარმოს უფროსს რუსულან ახვლედიანს.

—იხ, რომ დიდი რაოდენობით მოვაქვთ წყალი ძულურის და ლაშქარის კურორტებიდან, ხომ არ უშლის ხელს დაზვერვებულა წყლით უზრუნველყოფას?

—თქვენ წარმოადგინეთ არა, მარშან განიხილეთ ცოტა ნაკლებობას, ახლა კი მსგავსი რამ არ ხდება. მიწისძვრებმა გავარდეს წყლის ამოსვლის ინტენსიურობა, ასე რომ არ გვივიროს, ძირითადად ლაშქარში ვმუშაობთ მოთელს სეზონზე, რადგან მიმოსვლა აქ უფრო მოსახერხებელია, ძულურში კი უამინდობის

—აქ, ლენსუში? —ლენსუში ჩვენი ძირითადი მომხმარებელი ღვინის ღვლის რესტორანია და კოოპერატივი „ოქსიდეტი“. ვისაც უნდა, აქ ჩვენს საფირმო მალაზიას ყიდულობს 45 კაპიად, მაგრამ ეს მალაზია ტერიტორიულად შორია ტენსუდან და ყველას არ შეუძლია აქ წყლის შეძენა, ხოლო

წყლებს, ამ მხრივ ხომ არაფერს ფიქრობთ? —ლაშქარის და ძულურის მინერალური წყლები ბევრგან მაქვს გაგზავნილი, ამერიკაშიც კი. ცოტა ხანს წინ ქუთაისის სურსტულ ასოციაცია „საქართველოს“ გავატანე თურქეთში. პასუხი ჯერ არ მიმიღია, მაგრამ თქვენც კარგად იცით,

ლებს ტყეც უხვად გვიბოძა მინდორ-ველიც, მდინარეებიც და შესაძლებელია მინერალური წყლებიც. მართლაც ჩვენი ლენსუში რომ ციფრით შევაფასოთ, რომ თავი დავანებოთ, უნიკალური მინერალური წყაროებით საკმაოდ მდიდარია, მართლაც ძულური და ლაშქარა რად ღირს, რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლიათ მათ ლენსუისათვის და საერთოდ, საქართველოსთვის. შეუძლიათ თუ შეუძლებელია არ მითქვამს, მათგან ხომ სარგებლობის მინიმუმ ვიღებდით აქამდე.

მასწავლებელა შარშან „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნებული პროფესორ ა. რობაქიძის წერილი ლაშქარზე. „უნიკალური მინერალური წყალია, განსაკუთრებით შედეგადაა შეჭრიანი დიაბეზით დაავადებულთა სამკურნალოდ, ასევე პროფილაქტიკის მიზნით ისეთი ადამიანების მიმართ, რომლებიც დაავადების წინმობრძედად ითვლებიან. მინერალური წყლის გამოყენებით მათ შეუძლიათ თავიდან აიცილონ აღნიშნული დაავადება“. საჭიროა ლენსუის სიკეთე უპირველესად ლენსუშელთა მომხმარონ.

მადონა მახაროვლიძე.

უპირველესად — ლენსუელად, მერე — სხვებს

დ. უგულობის პირობებში ვერ ავდივართ და ამიტომ იქიდან მხოლოდ გარკვეული თევზის მანძილზე ვწარმოებთ ცისტერნებით წყლის გადმოტანას.

—ხალ ასაღებთ თქვენს პროდუქციას და ვინ არის მისი მომხმარებელი?

—ჩვენ აქ გვაქვს პატარა საფირმო მალაზია, სადაც ვყიდით ჩვენს მიერ ჩამოსხმულ წყლებს, ხელნეკრულებით გავაქვს წყალ-უბოში, ქუთაისში საიდანაც რუსეთშიც იგზავნება, ხოლო ლენსუში გვაქვს ჩვენი მალაზია.

რაიონის ვაჭრობის ობიექტები მაინცდამაინც არ იქნებიან თვის ჩვენი პროდუქციის ქსელში გატანაზე, არადა ძულური და ლაშქარა აქვე ისმება და ლენსუში ელს მისი შეძენის საშუალება არა აქვს.

—მინერალურ წყლებს ადგილობრივი, რესპუბლიკური სარგებლობის გარდა ქვეყნისათვის ვალუტის შემოტანის შესაძლებლობაც აქვს, რაც ჩვენ ასე გვჭირდება. უცხოელები დიდად იწონებენ ჩვენს მინერალურ

საჩვენებლად წყლის სხვადასხვა ქვეყნებში გაგზავნა შედეგს ვერ გამოიღებს. აქ უფრო აქტიური ჩარევაა საჭირო რესპუბლიკური ორგანოების მიერ. მიზნები კარგი გვაქვს, ენახოთ რა იქნება, ისე კონკრეტული გამოსვლის ძებნაა საჭირო.

—ბუნება მბრძანებელია პოლა, როცა ეს მბრძანებელი შენ, ადამიანს რაიმეს გიბოძებს, უცვლელა არა გაქვს იგი უგულ-ბელყო, არადა ბუნებამ ქართვე-

კანონი მოქალაქეობის შესახებ

რამდენიმე წელიწადში გაზეთებში გამოქვეყნდა კანონის პროექტი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ. ამ ნორმატიული აქტის მეშვეობით, რომელიც სახალხო განხილვისათვის არის გამოტანილი, საქართველო

როგორც სუვერენული სახელმწიფო იცავს თავის მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, უზრუნველყოფს მათ თანასწორობას პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

მოქალაქეობის კუთვნილება დგინდება ინდივიდუალური წესით, პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დროებითი კომისიების მიერ. პროექტში ხაზგასმულია, რომ საქართველოს მოქალაქეები თანასწორი არიან კანონის წინაშე, მათი წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისა და სხვა ფაქტორების, პოლიტიკური და სხვა რწმენის, საქმიანობის სახისა და ხასიათისა, საცხოვრებელი ადგილის და სხვა კითარების მიუხედავად. კანონის პროექტის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ შეიძლება მიღებული იქნეს პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მის ტერიტორიაზე ბოლო 10 წელიწადი, ამასთან ერთად, მან უნდა იცოდეს ქართ-

ული ენა, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში, აგრეთვე მისი სახელმწიფო ენა, იცოდეს საქართველოს კონსტიტუციის საფუძვლები და აღიარებდეს მას, იცოდეს საქართველოს ისტორია, რესპუბლიკაში მქონდეს მუდმივი საშუალო ადგილი ან ლეგალური მუდმივი შემოსავლის წყარო მის ტერიტორიაზე. თავისი სურვილი საქართველოს მოქალაქეობის მიღების შესახებ ამ პირმა უნდა დაადასტუროს განცხადებაში (დეკლარაცია—რესპუბლიკის ერთ გულგებისადმი ფიცში), რომ დაიცავს და პატივს სცემს საქართველოს კონსტიტუციას, რესპუბლიკის კანონმდებლობას, ათწლიანი მკვიდრობის ცენზის გარეშე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ შეიძლება მიღებულ იქნეს უცხოეთის ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არ მქონე პირი საქართველო. რესპუბლიკის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ნათქვამია კანონის პროექტში.

1991 წლის ნიშნების განათი

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკმა მიმოქცევაში გამოუშვა 1991 წლის ნიშნების 1 მანეთი ღირსების სსრკ სახბანკის საბანკო ბილეთები (ბანკნოტები). 1991 წლის ნიშნების 1 მანეთის ღირსების სსრკ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბილეთების დამზადებისას ძირითადად გამოყენებულია 1961 წლის ნიშნების 1 მანეთი ღირსების სსრკ კავშირის სახელმწიფო სახაზინო ბილეთის გამოსახულება, შეცვლილია მხოლოდ ფერი და ტექსტი. ამჟამად მიმოქცევაში მყოფ ფულის ნიშნებთან ერთად, აღნიშნული ბანკნოტები მისაღებად სავალდებულოა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. 1961 წლის ნიშნების 1 მანეთის ღირსების სსრკ კავშირის სახელმწიფო სახაზინო ბილეთები მიმოქცევაში დარჩება მათს სრულ გაცემამდე.

ასე იყო

ინდიკო და შალვა ახვლედიანები ბიძაშვილები იყვნენ. ცხოვრობდნენ სოფელ სანორჩში. შედარებით შეძლებული ოჯახები მქონდათ, ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას. ეს ოჯახები კარგი ქართული ტრადიციების მქონე იყვნენ, პატიოსანი მშრომელები.

იმ განუკითხაო ბის ქამს

ქაქიკეაში თანამდგომნი, ავ. კარგის მქონენი, ნათესავი ბევრი ყავდათ და ოჯახებიც სტუმართმოყვარე.

შალვა მრავალშვილიანი იყო. დედებთან ფიზიკურად მუშაობდა, რომ ცოლ-შვილს არ მოეიბოდა, რადგან ოჯახის მარჩენალი მხოლოდ ის იყო.

დადგა ავბედითი 1937 წელი. ბოროტსა და მანებლარს რა გამოეღვს ქვეყანაზე ეზარებოდა და რა ინდიკო და შალვა ახვლედიანების ნაყოფიერი შრომა, შეძლებული ოჯახები, სახელი და დაუახებია, უმაღლესი აფრიანა საჩივარი უშიშროებაში. ხალხის მტრებია და დაპატიმრეთო. ერთ ბნელ ღამეს ჩეკისტები ინდიკოს დასაპატიმრებლად წავიდნენ, მაგრამ არ იცოდნენ სა-

ხლი და პირველად შალვას ქიშკარს მიადგნენ. რამდენჯერმე დაძახების შემდეგ, როდესაც გაეპასუხა შალვა, დაუწყეს ძახილი: „სად ცხოვრობს ინდიკო, გაანაოთე ასანთი“. შალვამ რამდენჯერმე გაკრა ასანთს, მაგრამ საუბედუროდ, არ აინთო. ანთე, ასანთი გამეორდა ყვირილი. „რა გქნა, ბატონო, არ აინთო ჩვენი დამზადებული ეს არისო“. იყო შალვას პასუხი.

გვითხარი, სად ცხოვრობს ინდიკო ახვლედიანი, მე გვახსენებთ ავტო ცხოვრობსო ინდიკო და სახლზეც მიუთითა.


ხმაურზე ინდიკოც გამოვიდა ქიშკართან. ჩქარა ჩაიკცო, ცაგერშუნდა წამოხვიდნო, იყო ბრძანება.

წინ აიძვანეს ახვლედიანები უკან ცხენოსანი ჩეკისტები მოსდევდნენ, რთ წამოეწოდნენ მათარსაც არ იშურებდნენ.

დილით სოფელში ხმა დაიკრა, ინდიკო და შალვა დაპატიმრესო, ატირდა ოჯახები, შეწირილდა სოფელი, მაგრამ ვინ გაბედავდა კრინტის დაძვრას. ახვლედიანებს შინსახეობში დაუწყეს ტყევა-წამება, დაკითხვები, ვინ იცის რას არ ეკითხებოდნენ, მაგრამ რა უნდა ეპასუხათ იმ აოლ-მართლებს, რაც არ იცოდნენ. ნატანჯი ინდიკო გამოუშვეს, შალვა გასამართლეს ყალბი ჩვენებისათვის და გადასახლება, საიდანაც ცოცხალი აღა დაბრუნებულა.

ბრალდება? დანესტიანებული ასანთი ვერ აინთო და თქვა „ჩვენი დამზადებული ეს არისო“.

დანიელ ყურაშვილი.




ასერბაიჯანის სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში გაჩაღებულია საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ინდივიდუალური

პროექტების მიხედვით, და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მსურველთათვის საბანკო კრედიტების გამოყოფით.

სწრაფად: ამ სახლში უკვე იხიმეს ახალმოსახლეობა. ი. ლიტვინის დარ. მაგიდოვის ფოტო.

ჯანმრთელობის საფრთხე



ოფო გაუქმდა, მის ნაცვლად შემოვიდა საექიმო ამბულატორია და შენობის ოთახების ნაწილი ამბულატორიას გადაეცა, ნაწილი სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომს პიონერ-

მიუხედავად იმისა, რომ ღარი-ღვანელების მშენებლობის დამთავრების ვადები, ამბულატორი-ის მუშაკები, სოფლის მცხოვრე-ბნი კმაყოფილი არიან იმით, რომ შენობა ძირითადად ხარისხი-

შეიქმნა 8 ეტაჟი. ყავთ ბინაზე მომსახურების ერთი სპეცმანქა-ნა, ამბულატორიის მუშაკებს სამუშაო პირობები ნორმალური აქვთ. ინვენტარი ახალი და ხა-რისხიანია. მოსახლეობა სამედი-ცინო მომსახურებით კმაყოფი-ლია.

სამედიცინო პერსონალის ნა-ყოფიერი შრომის შედეგად რომ რამდენიმე წელი ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობას ადგლი არ ჰქონდა. უბანში რაიმე სახის ინფექციური დაა-ვადება არ აღინიშნება. დანიშ-ნულ დროს ტარდება პროფილა-ქტიური აცრები, ამბულატორ-იის ყველა მუშაკი მთელ ცოდ-ნასა და გამოცდილებას ახმარს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

სოფლის აფთიაქი მედიკამენ-ტებით კარგად მარაგდება ცა-გერის ცენტრალური აფთიაქის მიერ და მშრომლებიც კმაყო-

ფილია აფთიაქის მომსახურებით. საექიმო ამბულატორიის მუშა-აკებისა და მოსახლეობის შორის თანაა სასწრაფო გადამდები დაზიანებისათვის სპეციალური ავ-ში მოეწყოს 5 საწოლი მაინც, რომ პირველი დაზიანების აღმ-ოჩენის შემდეგ გადაყვანილი იქნან შესაბამის საავადმყოფოში. ეს აუცილებლად გააუმჯობესებს ავადმყოფთა მომსახურებას, რაც რაიმე დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული. ღირს ამ საკითხზე დაფიქრება და ზოგნა მისი მოგვარებისათვის, მოითხ-ოვენ აგრეთვე თუ ძირითადად არა, შეთავსებით მაინც მუშა-ობდეს სტომატოლოგი.

საექიმო ამბულატორიის შენ-ობაში დამონტაჟებულია ცენტრ-ალური გათბობის სისტემა, მაგრამ ეს მეტად საჭირო და ძვირადღირებული სისტემა უმო-ქმედოდაა.

ზალ. დავითულიანი.

სოფლისკარი ლაილაშის საექიმო ამბულატორიაში?

სოფელ ლაილაშში ჯერ კიდევ არც ფუნქციონირებდა საუბნო საავადმყოფო, რომელიც გმსახუ-რებოდა ზედა და ქვედა ლაილა-შის, ლესთაბორისა და სურმუშის მოსახლეობას. საავადმყოფო 15 საწოლზე იყო გაშლილი და აღჭ-ურავილი იყო ავადმყოფთა სრულ-ყოფილად მომსახურებისათვის საჭირო ყველა საშუალებებით. რამდენიმე წლის წინ, კერძოდ 1980 წელს, დადგა საკითხი საავ-ადმყოფოს გაუქმების შესახებ. მიუხედავად რეგიონის მოსახლეო-ბის მრავალი თხოვნისა საავადმყო-

ფო ბანაკისათვის. 1987 წელს ლაილაშის ყოფილი საუბნო საავადმყოფოს შენობა დაიწვა, ბუნებრივია დაიწვა საექ-იმო ამბულატორიის ოთახები და ინვენტარი, ეს დიდი უბანი ამბ-ულატორიის გარეშე დარჩა. იმავე წელს შედგა საექიმო ამბულატო-რიის ახალი შენობის მშენებლო-ბის პროექტი. 1988 წლის სექტე-მბერში დაიწყო მშენებლობა და გასული წლის ოქტომბერში შეე-იძა ექსპლუატაციაში. ლაილაშე-ლებმა მიიღეს საექიმო ამბულატ-ორიის საუკეთესო შენობა.

ანალოა აშენებული, რაც წლებე-ნდელმა ძლიერმა მიწისძვრამაც დაადასტურა. საუბნო ამბულატ-ორიის აქვს კარგი ეზო. შენობის პირველი სართული სამოქალაქო თავდაცვისათვისაა მოწყობილი. მეორე სართულზე მოწყობილია ბავშვთა და სტო-მატოლოგიური, ქირურგიის კა-ბინეტები საოპერაციო განყოფი-ლებით. ლაილაშის საექიმო ამბულატ-ორიის ემსახურება გამოცდილი ექიმი თერაპევტი ლაზარე ნემ-სწყერაძე. ამბულატორიაში მუ-

სკოლების რამონის-ჩვენი გარემოსათვის

მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის თანამე-დროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვის საქმეში სხვა ფაქტო-რებთან ერთად გადაწყვეტილია მნიშვნელოვანი ენიჭება მატერიალ-ურ-ტექნიკურ ბაზის ახალ სასწავ-ლო წლისათვის საიმედოდ მომზ-ადებას.

სკოლის სკოლების უმრავლეს-ობამ 1990-1991 სასწავლო წლის დამთავრებისთანავე დაიწყეს მზა-

შუალო სკოლის შენობის კაპიტ-ალური რემონტისათვის გამოი-ყო 40 ათასი მანეთი და ამ თანხიდან 30 ათასი მანეთი უკვე გადაერიცხა ცაგერის სარემონ-ტო სამშენებლო უბანს.

ხარჯთაღრიცხვით სარემონტო-სამშენებლო უბანმა (უფროსი ა. გოგიძე) აღვის არასრული სა-შუალო სკოლის შენობას უნდა გამოუცვალოს წან კვადრატ-ული მეტრი სახურავი. საჭიროა შენობას ფანჯრებს ზე-ვით გაუყვითდეს რკინა-ბეტონის სარტყელი (რომელიც შენობას არ ჰქონდა), დაიხუროს მოთუთ-იებული თუნუქით. ამასთან უნდა შეიღებოს კედლები 440 კვადრატული მეტრი, გათვალის-წინებულია კარებისა და ფან-ჯრების ბლოკების მოწყობა, კედლების შებრიჭვა, იატაკის მოწყობა, სამღებრო სამუშაო-ბი და სხვა.

სარემონტო-სამშენებლო უბნის უფროსმა ამირან გოგიძემ გვი-თხრა გარდა მოთუთიებული თუ-ნუქის სახურავისა, თითქმის ყველა საჭირო მასალა გვაქვს, სახურავის უქონლობის გამო სა-რემონტო სამუშაოები ვერ და-ვიწყეთ. აქვთ იმედი აღნიშნული სახურავის შოვნისა და კაპიტა-ლური რემონტი არ შეფერხდებ-და.

იმედი კარგია, მაგრამ დრო მიდის, სარემონტო სამუშაოების დაწყება კიანურდება, ამინდებიც როგორი იქნება ვინ იცის და საჭიროა სარემონტო-სამშენებლო უბნის ხელმძღვანელებმა მიიღონ გადაწყვეტილი ზომები რემონტის სამუშაოების დროულად და-წყებისა და ხარისხიანად შესრ-ულებისათვის იმ ვარაუდით, რომ 20 აგვისტოსათვის დაამთ-ავრონ სკოლის რემონტი.

ცოფი ცნობილია ჩვენს წელ-თარღიცვამდე მე-5 საუკუნიდან. მასზე ცნობებს იძლევიან დემ-ოკრატე და არისტოტელე, ხოლო ცოფთან ბრძოლის იდეის სულისჩამდგმელი და ორგანი-ზატორი არის დიდი ფრანგი მეცნიერი ლუი პასტერი. მან პირველმა 1885 წელს შექმნა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა და ამით მრავალი ადამიანი იხ-სნა გარდაუვალი დაღუპვისაგან.

ცოფი:

პეპროლოთ, დავაპარსხოთ

ამიტომაც არის, რომ ცოფთან ბრძოლაც ძირითადად სოციალ-ურ ნიშნით მიმდინარეობს, რადგანაც იგი ადამიანისათვის მეტად საშიშ დაავადებას წარმ-ოადგენს, ადამიანი ცხოველე-ბისგან ავადდება. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად გვაქვს სა-კმაოდ მყარი რადიკალური სა-შუალება ანტირაბიული ვირუს-ვაქცინის სახით ცოფთან ბრძო-ლა საპრობლემო საკითხად რჩება.

ცოფი ადამიანის და ცხოველ-ების მრავალ ინფექციური დაავ-ადებაა, რომელსაც იწვევს ფი-ლტრში გამავალი ნეიროტროპ-ული ვირუსი, დაავადება ხასია-თდება ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების დარღვე-ვით. ავადმყოფის ორგანიზმში ვირუსის ლოკალიზაციისა და გამრავლების ადგილს წარმოად-

გენს თავის ტვინის რუხი ნივთიერება.

ცოფის ვირუსის მიმართ ამოვი-სებელია ყველა სახის თხილსის-ხლიანი ცხოველები, ბუნებრივ პირობებში ცოფის ავადმყოფობის მიმართ განსაკუთრებულ მიდრეკ-ილებას იჩენენ ძუძუმწოვრები, მეტადრე ძაღლი, მგელი, მელა ტურა და კატა.

ცოფის ვირუსი ორგანიზმში იჭრება დაავადებული ცხოველის

ბი, ქვედა ყბისა და საყლაპავი კუნთების დამბლა, ღორბლი სდის, თვლები უსისხლიანდება, გუგები უფართოვდება, ამქავეს წყლისადმი შიშს, ცხოველი 8-10 დღის შემდეგ იღუპება.

ბუნებრივი იმუნიტეტი ცოფის მიმართ გააჩნიათ მხოლოდ ციცი-სხლიან ცხოველებს. ბუნებრივი იმუნიტეტის ამთვისებული ცხოვე-ლთა შორის შეიმჩნევა ძაღვ-იშკიათაღ. შეძენილი იმუნიტეტი ცოფის საწინააღმდეგოდ შეიქმნე-ბა უმთავრესად აცრის გზით.

ცოფის დროს სამედიცინო ლონისძიება შემუშავებული არ არის. აკრძალულია ცოფით ავად-მყოფი ცხოველის მკურნალობა, ისინი დაუყოვნებლივ მოსპობას ექვემდებარებიან.

ადამიანის ცოფისაგან დაცვა-სადღეისოდ ვეტერინარული და სამედიცინო სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, რადგან ცოფით დაავადებულ ერთ ცხოველს შეუძლია მოკლე დროში რამდენიმე ადამიანი დაკბინოს და ცოფის ვირუსით დასნებოვნოს. ამიტომ შეგახსენებთ, გაუფრთხი-ლდეთ თითოეული ადამიანის ჯანმრთელობას, მოვსპოთ მაწანწ-ალა და უპატრონო ძაღლები, ნუ გავუწევთ ძაღლებს უპატრონოდ აუცილებელია აცრათ ყოველწ-ლიურად ცოფის საწინააღმდეგო ანტისაბიული ვირუს-ვაქცინით. ხოლო რაც შეეხება დასნებოვანე-ბულ ადამიანებს ისინი უნდა გაი-გზავნონ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში სამკურნალოდ.

რ. გოგოლაძე.

ცაგერის სარაიონთაშორისო ვეტ-ლაბორატორიის დირექტორი.

იგედი

კარგია,

მავრამ...

დება ახალ სასწავლო წლისათვის, ბევრგან დამთავრდა შენობებისა და დგამ-ავეჯის მიმდინარე შეკეთ-ება, შემოაქვთ ინვენტარ-მოწყობი-ლობა, სახელმძღვანელოები, ტექნი-კური საშუალებები, რათა სასწ-ავლო პროცესი ორგანიზებულად და მაღალ დონეზე წარიმართოს.

ცაგერის რაიონის სასწავლო დაწესებულებების კაპიტალური შეკეთებისათვის ზემდგომი ორგა-ნოების მიერ წელს გამოყოფილი არის 110 ათასი მანეთი. ეს ოდნ-ევადაც ვერ აკმაყოფილებს საჭი-როებას. წლებიდან დღემდე ძლიერმა მიწისძვრამ ბევრი სკოლისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებ-ულებების შენობა დააზიანა, ზოგი მთავანი თითქმის დაინგრა. აღნიშნულზე შედგენილია ყველა საჭირო დოკუმენტაცია და არის გარანტია, რომ უახლოეს პერიოდ-ში რაიონის იმ სასწავლო დაწე-სებულებებისათვის, რომლებიც დააზიანა მიწისძვრამ, გამოიყოფა აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭირო თანხები, ხოლო ზოგიერ-თი სკოლის ახალი შენობის მშენებლობა დაიწყება.

განათლების განყოფილებამ ზემდგომი ორგანოების მიერ სა-სწავლო-დაწესებულებების კაპი-ტალური შეკეთებისათვის გამო-ყოფილი 110 ათასი მანეთი გა-უნაწილა რამდენიმე სკოლას და სკოლამდელ დაწესებულებას. მათ შორის აღვის არასრული სა-

ამოუცნობი

მფრინავი

ობიექტები...

პოლიგონზე

რამონის ჩანს, არამიწიერი ცივილიზაციის წარმომადგენლები სერიოზულად დაინტერესდნენ შეიარაღებული ძალებით. თუ არა ეს, აბა როგორ ავსნათ ამოუცნ-ობი მფრინავი ობიექტების ვიზი-ტი თერმეზის გარნიზონის პოლი-

გონზე. ამ მოვლენის თვითმხილველებია უფროსი ლეიტენანტი ვ. სტაცი-უკი და მისი ასეულის ჯარისკაცე-ბი. მათი სიტყვით, დაახლოებით 21 საათზე, როდესაც ღამის სროლა მიმდინარეობდა, ცის ტა-

ტობზე, რომელიც ღრუბლებით იყო დაფარული, უეცრად გამო-ჩნდა კაშკაშა ბურთი, რომელიც ანათებდა. ეს სხივები კონცენტ-რირებული იყო სინათლის სვეტ-ად, რომლის ზედა ნაწილიც ცი-მცომა ღრუბლად იქცეოდა. მეომ-

რები ამ ობიექტს მთელი საათი აკვირდებოდნენ. შემდეგ იგი უეცრად ღრუბლებში შეერია, წითლად შეაფერა და ისინი და გაუჩინარდა.

მეომართა სიტყვით, რამდენიმე დღის შემდეგ უცხო პლანეტელთა ხომალდი კვლავ დაბრუნდა და პოლიგონზე დაქდა.

